პატრიარქმა კირილემ ალექსანდრე ნეველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით სანკტ-პეტერბურგში სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა

2021 წლის 12 სექტემბერს, კეთილმსახური დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილთა გადაბრძანების დღესასწაულზე (1724 წ.) ქალაქი სანკტ-პეტერბურგი და ალექსანდრე ნეველის ლავრის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი ზოგადრუსული და ზოგადსაეკლესიო დღესასწაულის ცენტრი გახდა, რომელიც მიეძღვნა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლისთავს.

ალექსანდრე ნეველის ლავრის სამების საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგიას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე უძღვებოდა. ამ საზეიმო დღეს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი ასევე მნიშვნელოვან პირად სამახსოვრო თარიღს აღნიშნავს:

ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ, 1971 წლის 12 სექტემბერს, მღვდელმონაზონი კირილე (გუნდიაევი) არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს.

ლავრაში ჩასვლისთანავე, უწმინდესმა მეუფემ თაყვანი სცა წმინდა მთავრის ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილებს, რომელიც დღესასწაულთან დაკავშირებით ტაძრის ცენტრში იყო დაბრძანებული.

მის უწმინდესობას თანამსახურებდნენ: კიშინევისა და სრულიად მოლდოვას მიტროპოლიტი ვლადიმერი; ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური, ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი; პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანუფი; მოსკოვის სამტროპოლიტოს პატრიარქის ადგილმონაცვლე, კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი; სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი, მინსკისა და ზასლავსკის მიტროპოლიტი ბენიამენი; მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პირველი ვიკარიუსი ქ. მოსკოვში, ვოლგოგრადისა და კამიშინსკის მიტროპოლიტი თეოდორე; ჩელიაბინსკისა და მიასის მიტროპოლიტი ალექსი; სამხრეთ-სახალინისა და კურილიის მთავარეპისკოპოსი ნიკანორი; ვიბორგისა და პრიოზერსკის ეპისკოპოსი ეგნატე; ალექსანდრე ნეველის ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე, კრონშტადტის ეპისკოპოსი ნაზარი; ტიხვინისა და ლოდეინოპოლსკის ეპისკოპოსი მსტისლავი; გატჩინისა და ლუგის ეპისკოპოსი მიტროფანე; ლისკოვსკისა და ლუკოიანოვსკის ეპისკოპოსი სილუანე; სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი, პეტერგოფის ეპისკოპოსი სილუანე; სანკტ-პეტერბურგის ეპარქიალური მმართველობის მდივანი, დეკანოზი სერგი კუკსევიჩი; ქ. სანკტ-პეტერბურგის წმინდა ნიკოლოზის საზღვაო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბოგდან სოიკო; სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი, მთავარ ვლადიმერის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ვლადიმერ სოროკინი; უწმინდეს პატრიარქ კირილეს პირადი მდივანი, არქიმანდრიტი ალექსი (ტურიკოვი); სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის სასულიერო პირები.

ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ: რუსეთის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვ. მატვიენკო; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილო-დასავლეთ ფედერალურ ოლქში ა. ვ. გუცანი; სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორი ა. დ. ბეგლოვი; ლენინგრადის ოლქის გუბერნატორი ა. იუ. დროზდენკო; რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. გ. ობრივალინი; სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე ვ. ს. მაკაროვი; ბელგრადის მერი (სერბეთის რესპუბლიკა) ზორან რადოიჩიჩი.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულეს სანკტ-პეტერბურგის სამიტროპოლიტოს სასულიერო პირთა გუნდმა იუ. ა. გერასიმოვის ხელმძღვანელობით, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის შერეულმა გუნდმა რ. გ. გუნდიაევის ხელმძღვანელობით, ალექსანდრე ნეველის ლავრის გუნდმა ბერდიაკონი ალექსანდრეს (ურბანოვიჩი) ხელმძღვანელობით.

საპატრიარქო ღვთისმსახურება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა შემდეგი ტელეარხებით: „Санкт-Петербург „Союз“ და „Спас“. მაუწყებლობა ასევე განხორციელდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პორტალზე Патриархия.ru. სატელევიზიო არხ „Санкт-Петербург“-ზე

ტრანსლაციას კომენტარი გაუკეთა სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის საინფორმაციო განყოფილების საკომუნიკაციო სექტორის ხელმძღვანელმა ნ. ო. როდომანოვმა და თეოლოგიის დოქტორმა, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ლექტორმა, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდაბარედ არსებული მოციქულთა პეტრესა და პავლეს ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა კირილე კოპეიკინმა.

მორწმუნეთა ნაწილი საპატრიარქო ღვთისმსახურებისას ალექსანდრე ნეველის მოედანზე ლოცულობდა, სადაც დამონტაჟებულ ორ დიდ ეკრანზე აკვირდებოდა ტრანსლაციას; ეკრანები იყო, ასევე, დამონტაჟებული ალექსანდრე ნეველის პროსპექტის გასწვრივ და სასტუმრო „მოსკოვის“ მოპირდაპირედ.

მრჩობლ კვერქსზე თხოვნითი ლოცვა იქნა გაჟღერებული კორონა ვირუსიის ინფექციისგან განთავისუფლებისთვის. მრჩობლი კვერექსის შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა აღავლინა ლოცვა, რომელიც სნების განმფენი ქარის დროს იკითხება.

ზიარების წინ ქადაგება წარმოთქვა სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის ვიბორგის საეკლესიო ოლქის კეთილმოწესემ, პეტერბურგში პოროხოვიხზე მდებარე ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ალექსანდრე ბუდნიკოვმა.

ლიტურგიის დასასრულს, სანკტ-პეტერბურგის სამიტროპოლიტოს სასულიერო პირებისა და სანკტ-პეტერბურგის მართლმადიდებელი მორწმუნეების სახელით, უწმინდესს მეუფეს პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანუფი მიესალმა.

„თქვენ აღავლინეთ ლიტურგია ამ მშვენიერ ტაძარში, რომელშიც მოხდა თქვენი ყველა ქიროტონია – სადიაკვნო, სამღვდელო, საეპისკოპოსო. 1971 წლის ამ დღეს, 12 სექტემბერს, თქვენ არქიმანდრიტის ხარისხში აღგამაღლეს, შვეიცარიაში მივლინებით გამგზავრების წინ“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა ბარსანუფიმ.

სანკტ-პეტერბურგის სამიტროპოლიტოს მეთაურმა მის უწმინდესობას გადასცა ხატი კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ხატი და პანაღია ღვთისმშობლის ფეოდოროვსკაიას ხატის გამოსახულებით.

უწმინდეს მეუფეს ასევე მიესალმა ლავრის იღუმენი, კრონშტადტის ეპისკოპოსი ნაზარი, რომელმაც უწმინდესს სამი პანაღია უსახსოვრა, მათ შორის პანაღია წმინდა ალექსანდრე ნეველის გამოსახულებით და პანაღია ნეველის ღვთისმშობლის ხატის „მსწრაფშემსმენელის“ გამოსახულებით.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა მორწმუნეებს პირველიერარქის სიტყვით მიმართა.

შემდეგ შედგა საეკლესიო ჯილდოების გადაცემა:

· სამწყემსმთავრო გულმოდგინე შრომის გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანუფი დაჯილდოვდა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენით (II ხარისხი);

· წმინდა სამების ალექსანდრე ნეველის ლავრისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორი ა. დ. ბეგლოვი დაჯილდოვდა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენით (II ხარისხი);

· სამწყემსმთავრო გულმოდგინე შრომის გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კრონშტადტის ეპისკოპოსი ნაზარი დაჯილდოვდა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენით (III ხარისხი);

· წმინდა ეკლესიის სასიკეთოდ გაწეული შრომის გათვალისწინებით, სანკტ-პეტერბურგის ეპარქიალური მმართველობის მდივანი, ქ. სანკტ-პეტერბურგის ქრისტეს აღდგომის ტაძრის („Спас на Крови“) წინამძღვარი, დეკანოზი სერგი კუკსევიჩი დაჯილოდვდა კეთილმსახური მთავრის დანიელ მოსკოველის ორდენით (III ხარისხი);

· წმინდა სამების ალექსანდრე ნეველის ლავრისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორი სანკტ-პეტერბურგის მმართველობაში ა. ნ. ბელსკი დაჯილდოვდა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენით (III ხარისხი);

· წმინდა სამების ალექსანდრე ნეველის ლავრისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვ. ვ. კალუგინი დაჯილოვდა კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენით (III ხარისხი);

· წმინდა სამების ალექსანდრე ნეველის ლავრისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით და

კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. ს. მეიქსინი „პატრიარქის სამადლობელი“ მედლით დაჯილდოვდა;

· წმინდა სამების ალექსანდრე ნეველის ლავრისათვის გაწეული დახმარების გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორის ადმინისტრაციის რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ვ. გ. ივანოვი კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენის მედლით დაჯილდოვდა.

· წმინდა ეკლესიის სასიკეთოდ გაწეული შრომის გათვალისწინებით და კეთილმსახური მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ალექსანდრე ნეველის ლავრის ადილმონაცვლის თანაშემწე კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და დაცვის მიმართულებით, სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის საეპარქიო არქიტექტორის თანაშემწე ა. მ. ოდინცოვი ღირსი სერაფიმე საროველის ორდენის მედლით დაჯილდოვდა.

ამის შემდეგ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ წმინდა ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილებით ლიტანიობა ჩაატარა სამების საკათედრო ტაძრიდან ალექსანდრე ნეველის მოედნამდე.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრესს-სამსახური

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88007/